

სს თ & რ დისტრიბუშენ

კონსოლიდირებული ფინანსური და მმართველობის
ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	1
კონსოლიდირებული მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	2
კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	3
კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება.....	4

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1. კორპორატიული ინფორმაცია	5
2. მომზადების საფუძველი.....	6
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	6
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	11
5. ძირითადი საშუალებები.....	12
6. ინვესტიციები.....	13
7. სასაქონლო მატერიალური მარაგები.....	13
8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	13
9. ფული და ფულის ეკვივალენტები.....	14
10. კაპიტალი	14
11. მიღებული სესხი.....	14
12. საგადასახადო ვალდებულება	15
13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	15
14. ამონაგები რეალიზაციიდან	15
15. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	15
16. სხვა შემოსავალი.....	15
17. კომერციული ხარჯი	16
18. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	16
19. საპროცენტო ხარჯი, წმინდა.....	16
20. კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული ზარალი	16
21. პირობითი ვალდებულებები.....	17
22. ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან	17
23. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები.....	17

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

1. ინფორმაცია ჯგუფის შესახებ.....	19
2. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები.....	20
3. სუბიექტის განვითარების გეგმები.....	21
4. კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა.....	21
5. ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ	21
6. წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი განმარტებები.....	21
7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები	21

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს თ & რ დისტრიბუშენ-ის სამეთვალყურეო საბჭოს და აქციონერებს

მოსაზრება

ჩავატარეთ სს თ & რ დისტრიბუშენ-ის (შემდგომში ასევე კომპანია) და მისი შვილობილი საწარმოების (შემდგომში ჯგუფის) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგების, კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებსა და კონსოლიდირებულ ფულადი ნაკადების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - “აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე” - ნაწილში. ჩვენ ვართ ჯგუფისგან დამოუკიდებლები, როგორც ამას ითვალისწინებს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ შემუშავებული კოდექსი პროფესიონალი ბუღალტრებისათვის (IESBA-ის კოდექსი). შევასრულეთ IESBA-ს კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სხვა ინფორმაციის მომზადებაზე. სხვა ინფორმაცია (წარმოდგენილი 18-22 გვერდებზე) მოიცავს კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებას, მაგრამ არ მოიცავს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას. ჩვენ მიერ ჩატარებულ კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს

ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ჯგუფის ხელმძღვანელობა ვალდებულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას შეაფასოს, შეუძლია თუ არა ჯგუფს განაგრძოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ და საჭიროების შემთხვევაში, პასუხისმგებელია ჯგუფის ფუნქციონირებადობასთან და აღრიცხვის საფუძვლად ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხების გამჭვირვებაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან ოპერაციების შეწყვეტა, ან მას არა აქვს აღნიშნულის განხორციელების გარდა სხვა რეალური ალტერნატივა.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით, ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას დაეყრდნობიან.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვახდენთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და შესაბამისია ჩვენი დასკვნის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების ვერ გამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას;
- ვსწავლობთ აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის მექანიზმებს, რათა დაგვეგმოდეს გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების შესაბამისობას და ხელმძღვანელობის მიერ მომზადებული სააღრიცხვო შეფასებების და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო;

- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და ასევე იმას, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას;

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით (კანონი) განსაზღვრული ნაწილების ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მიუყვებით მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს.

შპს „ეკოვის საქართველო აუდიტი“-ს სახელით (რეგ #SARAS-F-344896)

ივანე კუტიბაშვილი (რეგ #SARAS-A-629166)

1 ოქტომბერი 2025

თბილისი, საქართველო.

- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და ასევე იმას, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას;

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით (კანონი) განსაზღვრული ნაწილების ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს.

შპს „ეკოვის საქართველო აუდიტი“-ს სახელით (რეგ #SARAS-F-344896)

ივანე კუტიბაშვილი (რეგ #SARAS-A-629166)



1 ოქტომბერი 2025

თბილისი, საქართველო.

სს თ & რ დისტრიბუშენ

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	8,072	8,006
არამატერიალური აქტივები		76	84
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში	6	450	350
სხვა ინვესტიციები	6	509	509
გაცემული სესხები		95	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		9,202	8,949
მოკლევადიანი აქტივები			
სასაქონლო მატერიალური მარაგები	7	17,211	19,900
საგადასახადო აქტივი		-	1,852
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	10,634	5,359
გაცემული სესხების მიმდინარე ნაწილი		175	-
ფული და ფულის ეკვივალენტები	9	3,411	2,893
სულ მიმდინარე აქტივები		31,431	30,004
სულ აქტივები		40,633	38,953
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	10	-	-
გაუნაწილებელი მოგება	10	23,387	24,011
სულ კაპიტალი		23,387	24,011
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	11	6,500	6,500
საგადასახადო ვალდებულებები	12	2,136	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	8,610	8,442
სულ მიმდინარე ვალდებულებები		17,246	14,942
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		40,633	38,953

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2025 წლის 1 ოქტომბერს:

სოფიო ავალიანი
დირექტორი

ნანა ორკოდაშვილი
ფინანსური დირექტორი


სს თ & რ დისტრიბუშენ


კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	8,072	8,006
არამატერიალური აქტივები		76	84
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში	6	450	350
სხვა ინვესტიციები	6	509	509
გაცემული სესხები		95	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		9,202	8,949
მოკლევადიანი აქტივები			
სასაქონლო მატერიალური მარაგები	7	17,211	19,900
საგადასახადო აქტივი		-	1,852
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	10,634	5,359
გაცემული სესხების მიმდინარე ნაწილი		175	-
ფული და ფულის ეკვივალენტები	9	3,411	2,893
სულ მიმდინარე აქტივები		31,431	30,004
სულ აქტივები		40,633	38,953
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	10	-	-
გაუნაწილებელი მოგება	10	23,387	24,011
სულ კაპიტალი		23,387	24,011
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	11	6,500	6,500
საგადასახადო ვალდებულებები	12	2,136	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	8,610	8,442
სულ მიმდინარე ვალდებულებები		17,246	14,942
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		40,633	38,953

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2025 წლის 1 ოქტომბერს:


სოფიო ავალიანი
დირექტორი


ნანა ორკოდაშვილი
ფინანსური დირექტორი

სს თ & რ დისტრიბუშენ

კონსოლიდირებული მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2024	2023
ამონაგები რეალიზაციიდან	14	153,104	163,619
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	15	(134,668)	(138,325)
საერთო მოგება		18,436	25,294
სხვა შემოსავალი	16	4,502	463
კომერციული ხარჯი	17	(13,999)	(13,280)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	18	(7,428)	(6,630)
საოპერაციო მოგება		1,511	5,847
საპროცენტო ხარჯი, წმინდა	19	(404)	(594)
კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული ზარალი	20	(353)	(275)
მოგება დაბეგვრამდე		754	4,978
მოგების გადასახადი		(207)	(265)
წლის სრული შემოსავალი		547	4,713

სს თ & რ დისტრიბუშენ

კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
31 დეკემბერი 2022	-	20,827	20,827
წლის სრული შემოსავალი	-	4,713	4,713
ოპერაციები დამფუძნებლებთან:			
დამფუძნებელთან განხორციელებული ოპერაციების შედეგი	-	(26)	(26)
დივიდენდის გამოცხადება	-	(1,503)	(1,503)
31 დეკემბერი 2023	-	24,011	24,011
წლის სრული შემოსავალი	-	547	547
ოპერაციები დამფუძნებლებთან:			
დივიდენდის გამოცხადება	-	(1,171)	(1,171)
31 დეკემბერი 2024	-	23,387	23,387

სს თ & რ დისტრიბუშენ

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

		2024	2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:			
მოგება დაბეგვრამდე		754	4,978
არაფულადი კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია	5	1,326	1,191
საპროცენტო ხარჯი, წმინდა	11	404	594
უიმედო და საექვო ვალების ანარიცხის ზრდა	8	199	181
საკურსო ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან	19	353	275
სხვა არაფულადი სარგებელი		125	(6)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან სამუშაო კაპიტალის კორექტირებამდე		3,161	7,213
სამუშაო კაპიტალის კორექტირება:			
შემცირება/(ზრდა) საოპერაციო აქტივებში:			
ცვლილებები სასაქონლო მატერიალურ მარაგებში	7	2,686	(1,282)
ცვლილებები სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	8	(5,537)	2,033
ცვლილებები საგადასახადო აქტივებში	12	1,852	(1,852)
ზრდა/(შემცირება) საოპერაციო ვალდებულებებში:			
ცვლილებები სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	13	8	3,387
ცვლილებები საგადასახადო ვალდებულებებში	12	2,136	(5,097)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან დაბეგვრამდე და პროცენტებამდე		4,306	4,402
გადახდილი მოგების გადასახადი	10	(207)	(265)
გადახდილი პროცენტი	11	(404)	(640)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		3,695	3,497
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალების შესყიდვა	5	(1,383)	(1,259)
არამატერიალური აქტივების შესყიდვა		(1)	(9)
გაცემული სესხები		(262)	22
ინვესტიციები		(100)	(132)
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობაზე		(1,746)	(1,378)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან			
გადახდილი დივიდენდები	10	(1,171)	(828)
დამფუძნებელთან განხორციელებული ოპერაცია		-	(26)
აღებული სესხი	11	-	(3,028)
წმინდა ფულადი ნაკადები ფინანსურ საქმიანობაზე		(1,171)	(3,882)
წმინდა ზრდა/(შემცირება) ფულის ან ფულადი ეკვივალენტების		778	(1,763)
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	9	2,893	4,822
კურსთა შორის სხვაობის ეფექტი ფულად ნაკადებზე		(260)	(166)
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს		3,411	2,893

სს თ & რ დისტრიბუშენ

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

1. კორპორატიული ინფორმაცია

სს „თ & რ დისტრიბუშენ“ (შემდგომში კომპანია) როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, დაარსდა საქართველოში 2006 წლის 15 თებერვალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 202311738. 2019 წლის 2 თებერვალს განხორციელდა კომპანიის რეორგანიზაცია დახურულ სააქციო საზოგადოებად.

ძირითადი საქმიანობა. სს „თ & რ დისტრიბუშენ“-ი, ისევე როგორც მისი შვილობილი კომპანია, ჩართულია პროდუქციის საქართველოში იმპორტსა და საბითუმო რეალიზაცია/დისტრიბუციაში. ჯგუფის ძირითადი საქმიანობა მოიცავს სიგარეტების, ელექტრო სიგარეტების, სანთებლების, და საყოფაცხოვრებო პროდუქციის იმპორტსა და დისტრიბუციას საქართველოს მასშტაბით.

ჯგუფი ძირითადად იმპორტს ახორციელებს უზბეკეთიდან, აზერბაიჯანიდან და ჩინეთიდან.

იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი. მშობელი კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, სამგორის რაიონი, როსტომ აბრამიშვილის ქ. N2. კომპანიის სათაო ოფისი და საქმიანობის ადგილი არის იმავე მისამართზე.

ჯგუფის მეწილეები: ჯგუფის მეწილეების სტრუქტურა, 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	მოქალაქეობა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
რაფიელ სურამელაშვილი	საქართველო	50%	50%
თემურ ჭყონია	საქართველო	50%	50%

ჯგუფს არ ყავს ერთი მაკონტროლებელი მხარე, გადაწყვეტილებები მიიღება ერთობლივად

ჯგუფის სტრუქტურა. კომპანიის შვილობილებს წარმოადგენენ შემდეგი საწარმოები (ერთად ჯგუფი):

	საქმიანობის სახე	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
შპს "თ & რ დისტრიბუშენ"	დისტრიბუცია/რეალიზაცია	100%	100%
შპს "თ & რ დისტრიბუშენ იმერეთი"	დისტრიბუცია/რეალიზაცია	100%	100%
შპს "თ & რ დისტრიბუშენ ხაშური"	დისტრიბუცია/რეალიზაცია	100%	100%
შპს "თ & რ დისტრიბუშენ კახეთი"	დისტრიბუცია/რეალიზაცია	100%	100%
შპს "თ & რ დისტრიბუშენ აჭარა"	დისტრიბუცია/რეალიზაცია	100%	100%
შპს "ბეტა"	დისტრიბუცია/რეალიზაცია	100%	100%

საანგარიშგებო პერიოდში, ისევე როგორც შესადარის პერიოდში, საქმიანობას განაგრძობდა მხოლოდ შპს „თ & რ დისტრიბუშენი, ხოლო დანარჩენ შვილობილ კომპანიებს საქმიანობა შეჩერებული აქვთ 2022 წლიდან და მათ ნაცვლად ოპერირებას განაგრძობს მშობელი კომპანია.

შპს „თ & რ დისტრიბუშენის“ საოპერაციო საქმიანობა მოიცავს საკვები, სასმელი და საყოფაცხოვრებო პროდუქციის იმპორტსა და დისტრიბუციას. საანგარიშგებო პერიოდიდან კომპანია ძირითადად კონცენტრირდა საყოფაცხოვრებო პროდუქციის იმპორტსა და დისტრიბუციაზე.

საქართველოს ბიზნეს გარემო. ჯგუფი საქმიანობას საქართველოში ახორციელებს. საქართველოს განვითარებადი ეკონომიკის გარკვეული მახასიათებლები აქვს, მათ შორის შედარებით მაღალი ინფლაციის დონე და მაღალი საპროცენტო განაკვეთები. ქართული საგადასახადო კანონმდებლობა სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება და ხშირ ცვლილებებს განიცდის.

საქართველოს მომავალი ეკონომიკური განვითარება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებულ ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული გადაწყვეტილებების ეფექტურობაზე, ისევე როგორც საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე.

2. მომზადების საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების საფუძველზე. ფინანსური უწყისები წარმოდგენილია ლარში და ღირებულებები დამრგვალებულია ათასებამდე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს.

შესაბამისობის განცხადება. აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შესაბამისობაშია მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტთან (შემდგომში მსს ფასს) და საქართველოს კანონთან „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მსს ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე, მოითხოვს ხელმძღვანელობამ გამოიყენოს მისი შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომლებიც გამოირჩევა უფრო მაღალი ხარისხის მსჯელობებით ან სირთულით, ან სფეროები, სადაც შეფასებები და დაშვებები მნიშვნელოვანია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე, იმის დაშვებით, რომ ჯგუფი განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია ჯგუფისთვის.

კონსოლიდაციის საფუძველი. წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით; 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, ამავე პერიოდის ფულადი ნაკადების მოძრაობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებას და საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებულ ანგარიშგებას ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვასა და სხვა განმარტებით ინფორმაციას.

შვილობილი კომპანიები. შვილობილი საწარმო არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს ჯგუფი. კონტროლი ნიშნავს სხვა საწარმოს ფინანსური და სამეურნეო პოლიტიკის მართვის უფლებამოსილებას, მისი საქმიანობიდან ეკონომიკური სარგებლის მიღების მიზნით. იგულისხმება, რომ კონტროლი არსებობს, როდესაც მშობელი საწარმო, პირდაპირ, ან არაპირდაპირ, შვილობილი საწარმოების მეშვეობით, ფლობს საწარმოს ხმის უფლებების ნახევარზე მეტს. გამონაკლის შემთხვევებში, შესაძლებელია ამ დაშვების უარყოფა, როდესაც აშკარად შეიძლება იმისდემონსტრირება, რომ ასეთი საკუთრება არ გულისხმობს კონტროლს.

ჯგუფი ასახავს საწარმოთა გაერთიანებას შემენის მეთოდით, როცა კონტროლის უფლება გადმოდის ჯგუფზე. შეფასებული გადაცემული კომპენსაცია ზოგადად საჭიროებს სამართლიანი ღირებულებით შეფასებას, ისევე როგორც შემენილი იდენტიფიცირებადი აქტივები. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ელიმინირებულია შიდა ჯგუფური ნაშთები და ოპერაციები, ასევე, ყველა არარეალისტური შემოსავალი და ხარჯი, რომლებიც დაკავშირებულია ჯგუფში შემავალ საწარმოთა შორის განხორციელებულ ოპერაციებთან. არამაკონტროლებელი წილი დგინდება შემენის თარიღისთვის შემენილი საწარმოს იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივების პროპორციულად.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

უცხოური ვალუტა. ლარი არის მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, სადაც ჯგუფი ფუნქციონირებს. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	აშშ დოლარი	ევრო
31 დეკემბერი 2024	2.8068	2.9306
31 დეკემბერი 2023	2.6894	2.9753

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს სალაროში არსებულ ფულს, ბანკში განთავსებულ თანხებს მიმდინარე ანგარიშებზე და სხვა მოკლევადიან მაღალლიკვიდურ ინვესტიციებს სამ თვემდე ვადით. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

ინვესტიციები. ჯგუფი ინვესტიციებს აღრიცხავს თვითღირებულებით და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით (თუ არის), გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ქვეყნდება ინვესტირებული საწარმოს კოტირებული ფასები.

ძირითადი საშუალებები. ყველა ძირითადი საშუალება აღიარებულია პირვანდელ ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთის საფუძველზე.

- **აღიარება და შეფასება.** ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ აღირიცხება პირვანდელი ღირებულებით, ცვეთის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

- **შემდგომი დანახარჯები.** შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ ჯგუფი მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ. ჩანაცვლებული აქტივის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება. შეკეთების და რემონტის ყველა სხვა ხარჯი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ ფინანსურ პერიოდში, როცა ეს ხარჯები გაიწია.

- **ცვეთა.** აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითადი საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ მოხდა მისი გადატანა გასაყიდად გამიზნულად ან ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტისას.

მიწას ცვეთა არ ერიცხება. ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

ჯგუფი	მომსახურების ვადა (წელი)
შენობები და ნაგებობები	8-30
სატრანსპორტო საშუალებები	3-15
თაროები	3-5
საოფისე ინვენტარი და სხვა აქტივები	2-15

საინვესტიციო ქონება. საინვესტიციო ქონების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით, შემდგომი აღრიცხვისთვის ის საინვესტიციო ქონება, რომლის რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება შესაძლებელია მიზანშეუწონელი დანახარჯების ან ძალისხმევის გარეშე, ფასდება რეალური ღირებულებით, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით. ყველა სხვა დანარჩენი საინვესტიციო ქონება აღირიცხება თვითღირებულებით, ძირითადი საშუალებების შემდგომ აღრიცხვაში გამოყენებული პოლიტიკის შესაბამისად. საინვესტიციო ქონების სასარგებლო მომსახურების ვადა არის 25 წელი.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

არამატერიალური აქტივები.

- **აღიარება და შეფასება.** ჯგუფის არამატერიალური აქტივები მოიცავს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე სააღრიცხვო პროგრამებს. ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები აღრიცხულია თვითღირებულებით დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.
- **ამორტიზაცია.** ამორტიზება უნდა დაიწყოს მაშინ, როდესაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება, მაგ., როდესაც ის იმყოფება იმ ადგილზე და იმ მდგომარეობაში, როცა მისი გამოყენება შესაძლებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნით. შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივის ამორტიზებადი თანხა სისტემატურად უნდა გადანაწილდეს მის სასარგებლო მომსახურების ვადაზე. არამატერიალურ აქტივებს ამორტიზაცია ერიცხებათ წრფივად სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა არის 10 წელი.

მარაგები. ჯგუფის მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდეგ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველანაირ დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდებარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად. მაგალითად, ტრანსპორტირებისა და იმპორტის ხარჯები, ასევე სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები.

ჯგუფი მარაგების აღრიცხვისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება. აქტივები, რომლებიც ექვემდებარება გაუფასურებას და ამორტიზაციას შემოწმებულია გაუფასურებაზე იმ შემთხვევაში, როდესაც მოვლენები ან გარემოებების ცვლილებები მიუთითებს, რომ მიმდინარე საბალანსო ღირებულება შესაძლოა არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი აღიარებულია იმ თანხის ოდენობით, რომლითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად თანხას.

წინასწარი გადახდები. წინასწარი გადახდები გამოხატულია ფაქტიური ღირებულებით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირებულია, როგორც გრძელვადიანი, როდესაც წინასწარ გადახდასთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც წინასწარი გადახდა დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც თავისთავად კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი თავდაპირველი აღიარებისას. აქტივების შეძენისთვის წინასწარი გადახდა გარდაიქმნება აქტივის მიმდინარე საბალანსო ღირებულებად, მას შემდეგ, რაც ჯგუფმა მიიღო კონტროლი აქტივებზე და სავარაუდოა, რომ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი გადაეცემა ჯგუფს. თუ არსებობს საფუძველი, რომ წინასწარ გადახდილი თანხის სანაცვლოდ არ მოხდება საქონლის ან მომსახურების მიღება, ხდება ავანსის გაუფასურება და სხვაობა აისახება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო მოთხოვნები. სავაჭრო მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის ან მიწოდებული საქონლის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი აქტივები.

სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარებულია გარიგების ფასით, შემდგომში შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების ანარიცხის გამოკლებით. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხი იქმნება იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულებები იმისა, რომ ჯგუფი ვერ შეძლებს დავალიანების თანხის სრულად ამოღებას მოთხოვნების თავდაპირველი პირობების შესაბამისად.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები. სავაჭრო ვალდებულებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

სესხები. სესხები თავდაპირველად აღიარებულია მომავალი გადახდების დისკონტირებული ღირებულებით, შემდგომი აღრიცხვა ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

მოგების გადასახადი. საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადი განაწილებულ მოგებაზე ირიცხება დივიდენდების სახით იმ პარტნიორებზე გადანაწილებულ მოგებაზე, რომლებიც ფიზიკური ან არარეზიდენტი პირები არიან საქართველოში, წმინდა განაწილების 15/85-ზე განაკვეთით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და მოგების გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშვებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული გარიგებების დაბეგრას, რომლებიც ითვლება პირობითი მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნეს საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და მოგება-ზარალის ანგარიშგების ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების ნაწილში აისახება, როგორც გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა.

განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები. ჯგუფის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს და ამგვარი საკითხების შესახებ ცნობილია სასამართლოს ან სხვა განჩინებებით.

დამატებული ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის იმ თარიღისთვის, რომელი მოვლენაც უფრო ადრე დგება (ა) კლიენტებისგან მისაღები ავანსების შეგროვება ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები რომელიც ექვემდებარება დღგ-ით დაბეგრას ან შესაძლებელია დღგ-ს ჩათვლის მიღება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღგ-ით შემცირებული ღირებულებით.

საპენსიო შენატანები. 2019 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო კანონი დაგროვებითი პენსიის შესახებ, რომლიც ძალაში შევიდა 2020 წლის 1 იანვრიდან. საპენსიო რეფორმის მიხედვით, სისტემაში ჩართული დასაქმებული პირის მხრიდან სახელმწიფო ბიუჯეტში განხორციელდებოდა 2%-ის გადახდა, აღნიშნული ნაწილი იფარება თანამშრომლის ხელფასიდან და ჯგუფს ეს ნაწილი დამატებით ხარჯად არ ეკისრება. აღნიშნულის პარალელურად დამსაქმებელი თავის მხრივ, დამატებით 2%-ს რიცხავს, რომელიც ხარჯად აღიარდება ხელფასის ხარჯის დარიცხვასთან ერთად და წარმოდგენილია ადმინისტრაციულ ხარჯებში.

კაპიტალი. ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირებულია საკუთარ კაპიტალად. გამოშვებული აქციების ნომინალურ ღირებულებაზე მეტი ნებისმიერი სამართლიანი ღირებულების მქონე მიღებული საფასური აღირიცხება, როგორც დამატებით შეტანილი კაპიტალი.

ამონაგების აღიარება. ამონაგები შეფასებულია მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რეალური ღირებულებით და წარმოადგენს გაწეული მომსახურებისთვის მისაღები თანხის ოდენობას, დადგენილი შიდა შეღავათების ეფექტის გათვალისწინებით. ჯგუფი აღიარებს ამონაგებს, როდესაც შემოსავლის ოდენობა შეიძლება ობიექტურად შეფასდეს და როდესაც მოსალოდნელია რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს. როდესაც ბარტერული ტრანზაქციით მიღებული საქონლის რეალური ღირებულება ობიექტურად არ არის შეფასებული, ამონაგები განისაზღვრება მიწოდებული საქონლის ან მომსახურების რეალური ღირებულებით.

საქონლის გაყიდვა. გაყიდვა აღიარდება საქონელზე კონტროლის გადაცემისას, ანუ როდესაც საქონელი მიეწოდება მომხმარებელს, როდესაც მომხმარებელს სრული კონტროლი აქვს საქონელზე და არ არსებობს შეუსრულებელი მოვალეობა, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს მომხმარებლის მიერ საქონლის მიღებაზე. მიწოდება ხდება მაშინ, როდესაც საქონელი მიწოდებული იქნება კონკრეტულ ადგილზე და რისკები მომხმარებელს გადაეცემა.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

სხვა შემოსავალი. სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც არსებობს რწმუნება, რომ ჯგუფი განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. სხვა შემოსავალი მოიცავს ისეთ შემოსულობას, რომელიც არ წარმოიქმნება საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში, ასეთი შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისათვის.

ხარჯების აღიარება. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

დივიდენდები. დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და იქვითება კაპიტალიდან იმ პერიოდში, როდესაც ხდება მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც ცხადდება საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და მანამ, სანამ მოხდება ფინანსური ანგარიშგების გამოშვებაზე გადაწყვეტილების მიღება, აღიარებულია ბალანსის შემდგომი მოვლენების შენიშვნაში.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა ჯგუფის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით. ჯგუფი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშგებო პერიოდში და ძირითადად ინახება სავაჭრო მიზნებისთვის;
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში;
- ის წარმოადგენს ფულს და ფულის ეკვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყიდულია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში.

ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში;
- ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის;
- მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში;
- არ არსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ.

სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

ტრანზაქციები დაკავშირებული მხარეებთან. დაკავშირებული მხარე არის პირი ან საწარმო, რომელიც დაკავშირებულია იმ საწარმოსთან, რომელიც ამზადებს ფინანსურ ანგარიშგებას (ანგარიშვალდებული საწარმო).

(ა) პირი ან მისი ახლო ნათესავი მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ, თუ ეს პირი:

- (i) არის ანგარიშვალდებული საწარმოს, ან მისი მშობელი საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი;
- (ii) აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს ანგარიშვალდებულ საწარმოს;
- (iii) ან მას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ანგარიშვალდებულ საწარმოზე; ან

(ბ) საწარმო მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულად მხარედ, თუ შემდეგი პირობებიდან რომელიმე არსებობს:

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

- (i) ეს საწარმო და ანგარიშვალდებული საწარმო არიან ერთი და იმავე ჯგუფის წევრები (რაც იმას ნიშნავს, რომ მშობელი საწარმო, შვილობილი საწარმო და იმავე მშობელი საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები ერთმანეთთან არიან დაკავშირებული);
- (ii) ერთი საწარმო არის მეორის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საქმიანობა (ან იმ ჯგუფის რომელიმე წევრის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საქმიანობა, რომლის წევრიც არის მეორე საწარმო);
- (iii) ორივე საწარმო წარმოადგენს ერთი და იმავე მესამე საწარმოს ერთობლივ საქმიანობას;
- (iv) ერთი საწარმო არის რომელიმე მესამე საწარმო ერთობლივი საქმიანობა, ხოლო მეორე საწარმო არის იმავე მესამე საწარმოსთვის მეკავშირე საწარმო;
- (v) ეს საწარმო არის ანგარიშვალდებული საწარმოს, ან ანგარიშვალდებულ საწარმოსთან დაკავშირებული რომელიმე საწარმოს დაქირავებულ პირთა შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოების პროგრამის განმახორციელებელი. თუ ანგარიშვალდებული საწარმო თვითონ არის ასეთი პროგრამის განმახორციელებელი, სპონსორი დამქირავებლებიც ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ მიიჩნევა;
- (vi) ამ საწარმოს აკონტროლებს, ან ერთობლივად აკონტროლებს (ა) ქვეპუნქტში მითითებული რომელიმე პირი;
- (vii) ეს საწარმო, ან იმავე ჯგუფში შემავალი სხვა საწარმო, რომლის ნაწილიც ის არის, ანგარიშვალდებული საწარმოსთვის, ან ანგარიშვალდებული საწარმოს მშობელი საწარმოსთვის ასრულებს მმართველობითი ხასიათის მომსახურებას;
- (viii) (ა) (ii) პუნქტში მითითებულ რომელიმე პირს აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ამ საწარმოზე, ან ეს პირი არის ზემოაღნიშნული საწარმოს (ან მისი მშობელი საწარმოს) უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

ჯგუფი ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. მომავალ პერიოდებში მიღებული ფაქტიური შედეგი, შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

- **სავაჭრო მოთხოვნის რეზერვი.** ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს ჯგუფი აფასებს არსებობს თუ არა იმის ნიშანი რომ ფინანსური აქტივი გაუფასურებულია. თუ არსებობს საკმარისი ნიშნები გაუფასურებისთვის, აქტივის ღირებულება მცირდება რეზერვის საშუალებით და ზარალის თანხა აღიარდება როგორც მიმდინარე პერიოდის ხარჯი. გაუფასურების ჯგუფური შეფასების მიზნით დებიტორული დავალიანება დაჯგუფებულია მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების საფუძველზე. ასეთი მახასიათებლები შეესაბამება სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასებას ასეთი აქტივების ჯგუფებისთვის, თითოეულ კატეგორიას განსაზღვრული აქვს ამ კატეგორიისთვის სპეციფიური გაუფასურების რეზერვი. მნიშვნელოვანი მოთხოვნები თავდაპირველად გაუფასურებაზე ფასდება ინდივიდუალურად. რეალური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს შეფასებისაგან და ჯგუფის შეფასებები შეიძლება უარყოფითად ან დადებითად გადაიხედოს მომავალში, შედეგების ან მოლოდინების მიხედვით.
- **ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება.** აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, ტექნიკურ მოძველებას და ფიზიკურ ცვეთას. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.
- **საგადასახადო კანონმდებლობა.** მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ ჯგუფს დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდიან. შეფასება ეყრდნობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ძალაში შესულ ან არსებითად ძალაში შესულ საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა რომელიმე ცნობილ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხებზე

სს თ & რ დისტრიბუშენ

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

5. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

პირვანდელი ღირებულება	მიწა	შენობები და ნაგებობები	სატრანსპორტო საშუალებები	თაროები	საოფისე ინვენტარი და სხვა აქტივები	სულ ძირითადი საშუალებები
31 დეკემბერი 2022	1,495	2,103	2,317	3,149	686	9,750
შემოსვლა	-	125	723	543	73	1,464
გასვლა/ჩამოწერა	-	-	(379)	-	(8)	(387)
31 დეკემბერი 2023	1,495	2,228	2,661	3,692	751	10,827
შემოსვლა	-	310	720	461	203	1,694
გასვლა/ჩამოწერა	-	-	(396)	(25)	(112)	(533)
31 დეკემბერი 2024	1,495	2,538	2,985	4,128	842	11,988
დაგროვილი ცვეთა						
31 დეკემბერი 2022	-	(159)	(598)	(729)	(337)	(1,823)
ცვეთის ხარჯი	-	(77)	(297)	(722)	(82)	(1,178)
გასვლა/ჩამოწერა	-	-	173	-	7	180
31 დეკემბერი 2023	-	(236)	(722)	(1,451)	(412)	(2,821)
ცვეთის ხარჯი	-	(87)	(338)	(811)	(89)	(1,325)
გასვლა/ჩამოწერა	-	-	219	11	-	230
31 დეკემბერი 2024	-	(323)	(841)	(2,251)	(501)	(3,916)
საბალანსო ღირებულება						
31 დეკემბერი 2023	1,495	1,992	1,939	2,241	339	8,006
31 დეკემბერი 2024	1,495	2,215	2,144	1,877	341	8,072

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული ძირითადი საშუალებები გამოყენებულია მიღებული სესხების უზრუნველსაყოფად. დეტალები იხილეთ მე-11 შენიშვნაში.

სს თ & რ დისტრიბუშენ

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

6. ინვესტიციები

ინვესტიციები შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

კომპანია	წილი	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ინვესტიცია მეკავშირე საწარმოში - შპს „ვანფრაიზ რითეილ გრუფ ჯორჯია“	21%	450	350
სხვა ინვესტიცია - სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ალფა ექსპრესი	15.85%	509	509
სულ		959	859

ჯგუფი მსს ფასს-ის შესაბამისად ინვესტიციების აღრიცხვის მიზნით, იყენებს შემდეგ მიდგომას: - თვითღირებულება, გაუფასურების ზარალის გამოკლებით. ჯგუფი აღნიშნულ პოლიტიკას იყენებს ყველა ინვესტიციის მიმართ.

შპს „ვანფრაიზ რითეილ გრუფ ჯორჯია“-ს ძირითადი საქმიანობის სფეროს წარმოადგენს საცალო ვაჭრობა სამეურნეო და საყოფაცხოვრებო პროდუქციით. 2024 წლის განმავლობაში ჯგუფმა შპს „ვანფრაიზ რითეილ გრუფ ჯორჯია“-ში დამატებით განახორციელა 100 ლარის ინვესტიცია (2023: 132 ლარი).

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ალფა ექსპრესის“ ძირითადი საქმიანობაა ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე მიკრო სესხების გაცემა. აქციების პირველი პაკეტის შეძენა ჯგუფის მიერ მოხდა 2012 წელს და შემდგომ ეტაპობრივად განხორციელდა დამატებით აქციების შეძენა. 2024 წლის განმავლობაში ჯგუფს სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ალფა ექსპრესში“ დამატებით ინვესტიცია არ განუხორციელებია.

7. სასაქონლო მატერიალური მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგები შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სიგარეტი	12,840	14,728
ელექტრო სიგარეტი	2,644	2,681
საყოფაცხოვრებო პროდუქცია	684	333
სანთებელია	532	1,185
სხვა	511	973
სულ	17,211	19,900

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სავაჭრო მოთხოვნები	9,903	4,823
სავაჭრო მოთხოვნები დაკავშირებულ მხარეებთან	1,217	294
სულ ფინანსური მოთხოვნები, ბრუტო	11,120	5,117
ანარიცხი უიმედო და საეჭვო მოთხოვნებზე	(737)	(538)
ფინანსური აქტივები, ნეტო	10,383	4,579
გადახდილი ავანსები	391	751
სხვა	47	86
სულ არაფინანსური მოთხოვნები	438	837

სს თ & რ დისტრიბუშენ

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (გაგრძელება)

შემცირება მისაღებ სარგებლამდე	(187)	(57)
არაფინანსური აქტივები, ნეტო	251	780
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, ნეტო	10,634	5,359

გაუფასურების ჯგუფური შეფასების მიზნით სავაჭრო მოთხოვნები დაჯგუფდა მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების და ვადაგადაცილებული დღეების მიხედვით. მნიშვნელოვანი მოთხოვნებისთვის ჯგუფმა გამოიყენა ინდივიდუალური გაუფასურების მიდგომა.

მოძრაობა უიმედო და საექვო მოთხოვნების რეზერვში:

31 დეკემბერი 2022	(941)
წლის დარიცხვა	(171)
რეზერვის გამოყენება	574
31 დეკემბერი 2023	(538)
წლის დარიცხვა	(199)
რეზერვის გამოყენება	-
31 დეკემბერი 2024	(737)

9. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	3,126	2,667
ფული სალაროში ეროვნულ ვალუტაში	261	214
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	24	12
სულ	3,411	2,893

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ნაშთები განთავსებულია ბანკებში, რომლებსაც ფიტჩის სარეიტინგო სააგენტოს მიერ მინიჭებული B რეიტინგი.

10. კაპიტალი

ინფორმაცია ჯგუფის მეწილეების შესახებ წარმოდგენილია პირველ შენიშვნაში.

საზოგადოების განთავსებული და შევსებული სააქციო კაპიტალი შეადგენს 200 ლარს და დაყოფილია 100 ჩვეულებრივ და 100 პრივილეგირებულ აქციადა. ერთი ჩვეულებრივი აქციის ნომინალური ფასი არის 1 ლარი, ასევე ერთი პრივილეგირებული აქციის ნომინალური ფასი არის 1 ლარი (თანხები მითითებულია ერთეულ ლარებში).

თითო ჩვეულებრივი აქცია მის მფლობელს ანიჭებს ერთი ხმის უფლებას აქციონერთა საერთო კრებაზე. პრივილეგირებული აქციის მფლობელს საერთო კრებაზე არ გააჩნია ხმის უფლება და ასევე არ ანიჭებს დამატებით განსაკუთრებულ უფლებებს.

2024 წლის განმავლობაში გამოცხადებულმა და გაცემულმა დივიდენდმა შეადგინა 1,171 ლარი (2023: 1,503).

11. მიღებული სესხი

მიღებული სესხი წარმოადგენს საფინანსო ინსტიტუტისგან ლარში მიღებულ საკრედიტო ხაზს, საპროცენტო განაკვეთით - რეფინანსირების განაკვეთს დამატებული 4 %.

ჯგუფი საფინანსო ინსტიტუტთან ურთიერთობის ფარგლებში განიხილება როგორც „კოკა-კოლას ჯგუფში“ შემავალი კომპანია. შესაბამისად, სესხთან დაკავშირებული ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებები განეკუთვნება მთლიანად ჯგუფს და მათი შესრულება უნდა უზრუნველყონ ერთობლივად, ჯგუფში შემავალმა კომპანიებმა. სესხი უზრუნველყოფილია „კოკა-კოლას ჯგუფის“ წევრი კომპანიებისა და მეწილეების საკუთრებაში არსებული ქონებით.

სს თ & რ დისტრიბუშენ

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

12. საგადასახადო ვალდებულება

2016 წლის 1 იანვრიდან, საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილების შესაბამისად ყველა საგადასახადო ვალდებულება ირიცხება ერთიან სახაზინო ანგარიშზე/კოდზე, შესაბამისად, ფინანსურ ანგარიშგებაში, საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილია ნეტო თანხით.

13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სავაჭრო ვალდებულებები	7,994	8,052
მიღებული ავანსები	235	72
სხვა	381	318
სულ	8,610	8,442

14. ამონაგები რეალიზაციიდან

ამონაგები რეალიზაციიდან შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

	2024	2023
ამონაგები სიგარეტების რეალიზაციიდან	140,982	153,432
ამონაგები ელექტრო სიგარეტების რეალიზაციიდან	5,931	5,672
ამონაგები საყოფაცხოვრებო პროდუქციის რეალიზაციიდან	3,120	565
ამონაგები სანთებლების რეალიზაციიდან	2,195	2,111
სხვა	876	1,839
სულ	153,104	163,619

15. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება კატეგორიების მიხედვით შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

	2024	2023
რეალიზებული სიგარეტების თვითღირებულება	(125,990)	(130,371)
რეალიზებული ელექტრო სიგარეტების თვითღირებულება	(4,430)	(4,495)
რეალიზებული საყოფაცხოვრებო პროდუქციის თვითღირებულება	(1,867)	(396)
რეალიზებული სანთებლების თვითღირებულება	(1,691)	(1,641)
სხვა	(690)	(1,422)
სულ	(134,668)	(138,325)

16. სხვა შემოსავალი

2024 წლიდან კომპანიამ გააფორმა მომსახურების ხელშეკრულებები არარეზიდენტ მომწოდებლებთან. აღნიშნული მომსახურება მოიცავს, ამ მომწოდებლების ინტერესების გათვალისწინებით, გაყიდვების და დისტრიბუციის ქსელის მართვას, რომლის მიზანია დამკვეთის პროდუქციისთვის არსებული და სამომავლო გაყიდვის წერტილების განვითარება და გაფართოება. კომპანია იღებს შემოსავალს მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, მიწოდების ხელშეკრულებებით განსაზღვრული კონკრეტული პირობებისგან დამოუკიდებლად. 2024 წელს აღიარებულმა შემოსავალმა შეადგინა 4,199 ლარი.

სს თ & რ დისტრიბუშენ

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

17. კომერციული ხარჯი

კომერციული ხარჯი შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

	2024	2023
მარკეტინგის ხარჯი	(7,517)	(7,451)
ხელფასი და სხვა სარგებელი	(4,097)	(3,693)
ცვეთის ხარჯი	(1,142)	(1,041)
საწვავის ხარჯი	(710)	(680)
ავტომობილის მომსახურების ხარჯები	(386)	(344)
სხვა	(147)	(71)
სულ	(13,999)	(13,280)

18. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

	2024	2023
ხელფასი და სხვა სარგებელი	(4,846)	(3,757)
საგადასახადო ხარჯი, გარდა მოგების გადასახადისა	(336)	(560)
პროფესიული მომსახურების ხარჯი	(293)	(428)
სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ხარჯი	(199)	(181)
დაზღვევა	(188)	(174)
ცვეთა და ამორტიზაცია	(184)	(150)
კომუნალური ხარჯები	(169)	(160)
წარმომადგენლობითი ხარჯი	(138)	(71)
შემცირება მისაღებ სარგებლამდე	(130)	(9)
დაცვის ხარჯი	(129)	(107)
საოფისე ინვენტარის ხარჯი	(125)	(119)
პროგრამული უზრუნველყოფის ხარჯი	(71)	(62)
ბანკის მომსახურების ხარჯი	(68)	(82)
სხვა	(552)	(770)
სულ	(7,428)	(6,630)

19. საპროცენტო ხარჯი, წმინდა

საპროცენტო ხარჯი, წმინდა შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

	2024	2023
საპროცენტო ხარჯი ბანკიდან მიღებულ სესხებზე	(404)	(640)
საპროცენტო შემოსავალი გაცემული სესხებიდან	-	46
სულ	(404)	(594)

20. კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული ზარალი

კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული ზარალი შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

	2024	2023
ფული და ფულის ეკვივალენტები	(260)	(166)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(160)	(109)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	67	-
სულ	(353)	(275)

21. პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავები. დროდადრო, ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში, შეიძლება ჯგუფის წინააღმდეგ პრეტენზიები იქნას წამოყენებული. საკუთარი შეფასების საფუძველზე, აგრეთვე შიდა და გარე პროფესიული კონსულტაციების საფუძველზე, მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ არანაირი არსებითი დანაკარგი არ იქნება გამოწვეული მიმდინარე სასამართლო დავების შედეგად.

გადასახადები. საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა, შესაძლებელი. ასევე არსებობს საგადასახადო ორგანოების მიერ სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკა. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, ჯგუფს შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონმდებლობით მოთხოვნილი გადასახადები და დამატებითი რეზერვების შექმნა არ არის საჭირო. საგადასახადო ორგანოებს ჯგუფის შემოწმება შეუძლიათ მაქსიმუმ წინა სამი წლის პერიოდზე.

22. ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან

მხარეები, როგორც წესი, განიხილება, რომ ურთერთდაკავშირებულნი არიან, თუ იმყოფებიან საერთო კონტროლის ქვეშ ან თუ ერთ მხარეს აქვს სხვა მხარის კონტროლის უნარი ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს მეორე მხარეზე ან განახორციელოს ერთობლივი კონტროლი მეორე მხარეზე ფინანსური და ოპერატიული გადაწყვეტილებების მიღებაში.

დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ოპერაციები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ფინანსური ანგარიშგების არე	კავშირის სახე	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	მეკავშირე საწარმო	1,217	294
გაცემული სესხები	დამფუძნებელი	270	-

მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

ფინანსური ანგარიშგების არე	კავშირის სახე	2024	2023
ამონაგები რეალიზაციიდან	მეკავშირე საწარმო	1,358	-

ტრანზაქციები მენეჯმენტთან და დამფუძნებლებთან

	2024	2023
უმაღლესი მმართველობითი რგოლის ხელფასები	2,156	1,814

23. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ჯგუფის მიერ გამოცხადებული და გაცემული დივიდენდი შეადგენს 6,110 ლარს.

ჯგუფმა განახორციელა დამატებით 850 ლარის ინვესტიცია მეკავშირე საწარმოში შპს „ვანფრაიზ რითეილ გრუპ ჯორჯია“-ში.

სს თ & რ დისტრიბუშენ

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

სს თ & რ დისტრიბუშენ

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

1. ინფორმაცია ჯგუფის შესახებ

სს „თ & რ დისტრიბუცია“ რომელიც არის სააქციო საზოგადოება და მისი შვილობილი კომპანიები (შემდგომში „ჯგუფი“) რომლებიც არიან შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებები, დაარსებული არიან და მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. სს „თ & რ დისტრიბუშენ“ დაფუძნდა და საქმიანობა დაიწყო 2006 წელს.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარებით სს „თ & რ დისტრიბუშენ“-ის მესაკუთრეები არიან რაფიელ სურამელაშვილი (50%) და თემურ ჭყონია (50%).

ჯგუფის საქმიანობის სახე და ძირითადი სამოქმედო ბაზრები:

ჯგუფის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს თამბაქოს ნაწარმის, სანთებლების და საყოფაცხოვრებო პროდუქტების დისტრიბუცია და რეალიზაცია მთელი საქართველოს მასშტაბით.

არსებული პროდუქტები და მომსახურება, ბიზნეს პროცესები და სადისტრიბუციო მეთოდები.

ჯგუფის გაყიდვების დიდი ნაწილი მოდის თბილისზე (55%). საქართველოს რეგიონებში მომარაგება და რეალიზაცია, 2022 წლიდან ხორციელდება მშობელი კომპანიის მიერ, რომელსაც, საქმიანობის მასშტაბის შესაბამისად, გააჩნია საკუთარი ლოჯისტიკური ცენტრი და სადისტრიბუციო/სარეალიზაციო ხაზები.

ამონაგები კატეგორიების მიხედვით:

პროდუქციის სახეობა	2024	2023	ცვლილება %
ამონაგები სიგარეტების რეალიზაციიდან	140,982	153,432	(8.1%)
ამონაგები ელექტრო სიგარეტების რეალიზაციიდან	5,931	5,672	4.6%
ამონაგები საყოფაცხოვრებო პროდუქციის რეალიზაციიდან	3,120	565	452.2%
ამონაგები სანთებლების რეალიზაციიდან	2,195	2,111	4.0%
სხვა შემოსავალი	876	1,839	(52.4%)
სულ	153,104	163,619	

(ა) საანგარიშგებო პერიოდში ჯგუფმა აქტიურად დაიწყო საყოფაცხოვრებო პროდუქტების იმპორტი და დისტრიბუცია. აღნიშნულ მიმართულებაზე სპეციალიზებულია ერთ-ერთი შვილობილი კომპანია- შპს „თ & რ დისტრიბუშენ“.

ჯგუფის სტრუქტურა

საზოგადოების მმართველობის ორგანოებია:

- ა) საერთო კრება;
- ბ) სამეთვალყურეო საბჭო;
- გ) დირექტორები;

სამეთვალყურეო საბჭო წესდების შესაბამისად შედგება სამი წევრისგან: რაფიელ სურამელაშვილი; თემურ ჭყონია და ნიკა ზაუტაშვილი.

წესდების მიხედვით, საერთო კრება იღებს გადაწყვეტილებას სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა არჩევასა და გამოწვევაზე.

მშობელი კომპანიის დირექტორი საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, ასევე ანგარიშგების გამოცემის თარიღამდე არის სოფიო ავალიანი.

წესდების მიხედვით სამეთვალყურეო საბჭო ნიშნავს და ნებისმიერ დროს გამოიწვევს დირექტორებს, ასევე მათთან დებს და წყვეტს ხელშეკრულებებს

სს თ & რ დისტრიბუშენ

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

1. ინფორმაცია ჯგუფის შესახებ (გაგრელება)

სს „თ & რ დისტრიბუშენ“-ი თავის მხრივ ფლობს შემდეგ კომპანიებში წილებს:

კომპანია	საქმიანობის სახე	წილი	სტატუსი
შპს "თ & რ დისტრიბუშენ"	დისტრიბუცია /რეალიზაცია	100%	აქტიური
შპს "თ & რ დისტრიბუშენ იმერეთი"	დისტრიბუცია /რეალიზაცია	100%	გაჩერებული
შპს "თ & რ დისტრიბუშენ ხაშური"	დისტრიბუცია /რეალიზაცია	100%	გაჩერებული
შპს "თ & რ დისტრიბუშენ აჭარა"	დისტრიბუცია /რეალიზაცია	100%	გაჩერებული
შპს "ბეტა"	დისტრიბუცია /რეალიზაცია	100%	გაჩერებული
შპს „ვანფრაიზ რითეილ გრუპ ჯორჯია“	საცალო ვაჭრობა	21%	აქტიური
სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ალფა ექსპრესი	მიკროსაფინანსო ორგანიზაცია	15.85%	აქტიური

2022 წლის განმავლობაში შვილობილმა კომპანიებმა შპს "თ & რ დისტრიბუშენ აჭარამ", შპს "თ & რ დისტრიბუშენ იმერეთმა", შპს "თ & რ დისტრიბუშენ ხაშურმა", შპს "თ & რ დისტრიბუშენ კახეთმა", და შპს "ბეტამ" (2019 წელი) შეწყვიტეს საქმიანობა.

2. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

ფინანსური მაჩვენებლები

2024 წლის ამონაგებმა შეადგინა 153,104 ლარი, ჯგუფის შემოსავლები 2023 წელთან შედარებით შემცირდა 6%-ით, რაც ძირითადად გამოწვეულია იმ ფაქტით, რომ თამბაქოს ნაწარმზე მოთხოვნა მცირდება, თუმცა ამავე დროს იზრდება მოთხოვნა ელექტრო სიგარეტებზე.

ჯგუფის ძირითადი კოეფიციენტები:	2024	2023
სულ ამონაგები	153,104	163,619
სულ აქტივები	40,633	38,953
დასაქმებულთა საშუალო რიცხვი	165	191
მოგების მარჟა	14%	15%
სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი (Quick ratio)	0.82	0.68
მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი	1.82	2.01
უკუგება კაპიტალზე (ROCE)	0.05	0.23

არაფინანსური მაჩვენებლები

თანამშრომლები: ჯგუფში 2024 წელს დასაქმებულების საშუალო რაოდენობა იყო 165 (2023: 191). ჯგუფს აქვს კარგად განსაზღვრული დასაქმების პოლიტიკა და არჩევს მხოლოდ შესაბამისი კვალიფიკაციის, გამოცდილებისა და უნარების მქონე კანდიდატებს. როგორც დამქირავებელი, პერსონალს სთავაზობს განვითარებაზე ორიენტირებულ მიდგომებს და მუდმივ საკვალიფიკაციო ტრენინგებს საიმისოდ, რომ პერსონალმა უზრუნველყოს საუკეთესო მომსახურება კლიენტებისთვის. განვითარებაზე ორიენტირებულ თანამშრომლებს ეძლევათ კარიერული წინსვლის და პროფესიული უნარების დახვეწის შესაძლებლობა, საქმიანი სამუშაო გარემო და კონკურენტუნარიანი ხელფასი.

ძირითადი მომწოდებლები და კლიენტები

ჯგუფი ახორციელებს პროდუქციის შესყიდვას და დისტრიბუციას საქართველოს მასშტაბით როგორც დიდ ქსელებზე, ასევე ბითუმად მოვაჭრეებზე და უბნის მაღაზიებზე. ძირითადად პროდუქციის იმპორტი ხდება უზბეკეთიდან, აზერბაიჯანიდან და ჩინეთიდან.

ურთიერთობა სახელმწიფო უწყებებთან: ჯგუფი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ დაარსებულია და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და არ ხვდება დამატებით რომელიმე სახელმწიფო უწყების რეგულირების სფეროში.

სს თ & რ დისტრიბუშენ

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

3. სუბიექტის განვითარების გეგმები

ჯგუფის მთავარ მიზანს წარმოადგენს ოპერაციების და რენტაბელობის გაძლიერება, რა თქმა უნდა ასევე ბაზარზე საკუთარი პოზიციის გამყარება და მუდმივი ზრუნვა მომსახურების ხარისხის ამაღლებაზე.

ამავდროულად იმის ხაზგასმა, რომ მომხმარებლებს იგი სთავაზობს სანდო მწარმოებლების მიერ დამზადებულ ფართო ასორტიმენტის პროდუქციას, რომელსაც ბაზარზე გააჩნია მაღალი ცნობადობა. ჯგუფი 2024 წლიდან მომხმარებლებს სთავაზობს საყოფაცხოვრებო პროდუქციის ფართო ასორტიმენტს და აღნიშნული მიმართულებით ბაზარზე საკუთარი პოზიციის გამყარებისათვის მიმდინარეობს დამატებით აქტიური მუშაობა.

მუდმივად ცვალებადი ბაზრის პირობებში ჯგუფი ინარჩუნებს დისტრიბუციის მაღალ ეფექტურ ფოკუსს რათა უზრუნველყოს გაყიდვების მაქსიმიზაცია, საუკეთესო ბრენდები სხვადასხვა საფასო სეგმენტებში უზრუნველყოფს ჯგუფის პროდუქციის მაღალ პოპულარობას და გაყიდვების სტაბილურობას.

ჯგუფი მუშაობს იმისათვის რომ შეინარჩუნოს მომხმარებელთან საკომუნიკაციო არხები რათა მოხდეს ინოვაციური პროდუქციაზე ინფორმაციის ეფექტური მიწოდება, განსაკუთრებით ეხება მომავალ ნაკლებ რისკიანი პროდუქციის შეთავაზებას, რასაც აქვს დიდი წარმატება დასავლეთის ბაზრებზე.

არსებული მძიმე რეგულირების და დიდი კონკურენციის პირობებში დისტრიბუციის კადრების განვითარებას აქვს კრიტიკული მნიშვნელობა, რისთვისაც დაგეგმილია განვითარების პროგრამები

4. კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

2024 წელს ჯგუფი არ იყო ჩართული კვლევებში და მსგავს ღონისძიებებში.

5. ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

2024 წელს არ მომხდარა ჯგუფის მიერ საკუთარი აქციების შეძენა.

6. წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი განმარტებები

წლიდან წლამდე დამდგარი მნიშვნელოვანი ცვლილებები:

ფინანსური ანგარიშგების არე	2024	2023	გადახრის ახსნა
ამონაგები რეალიზაციიდან	153,104	163,619	შენიშვნა 1
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(134,668)	(138,325)	შენიშვნა 1

შენიშვნა #1:

რეალიზაციიდან ამონაგების შემცირება ძირითადად გამოწვეულია იმ ფაქტით, რომ თამბაქოს ნაწარმზე მოთხოვნა მცირდება, თუმცა ამავე დროს იზრდება მოთხოვნა ელექტრო სიგარეტებზე. ამასთან, საანგარიშგებო პერიოდში ჯგუფი კონცენტრირდა საყოფაცხოვრებო პროდუქციის იმპორტსა და დისტრიბუციაზე, რაც დადებითად აისახა წლის შედეგზე.

7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

საქართველოსთან დაკავშირებული მაკროეკონომიკური და პოლიტიკური რისკები:

ჯგუფი საქმიანობს საქართველოში და მისი ბრუნვა მთლიანად მოდის საქართველოზე. შესაბამისად, ჯგუფის საქმიანობის შედეგებზე, ზრდასა და განვითარებაზე საგრძნობლად მოქმედებს და მომავალშიც იმოქმედებს ქვეყნის ბიზნეს გარემო და პოლიტიკური ფაქტორები.

სს თ & რ დისტრიბუშენ

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები (გაგრძელება)

ქვემოთ ცხრილში მოცემულია ქვეყნის ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრები:

ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრები	2024	2023
მოსახლეობის რიცხოვნობა 31 დეკემბრისთვის	3,695	3,694
მშპ მიმდინარე ფასებში, მილიარდი აშშ დოლარი	33.8	30.5
მშპ ერთ სულზე (მიმდინარე ფასებში), აშშ დოლარი	9,141	8 218.8
მშპ-ის რეალური ზრდა, %	9.4%	7.5%
საშუალო წლიური ინფლაცია	101.1	2.5%
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები FDI (მილიონი აშშ დოლარი)	966.3	1,594.7
უმუშევრობის დონე, %	13.9%	16.4%

საკრედიტო რისკი და მისი მართვის მექანიზმები. ჯგუფს გააჩნია საკრედიტო რისკი, რომელიც წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ ზარალს მეორე მხარისათვის თავისი მოვალეობის შეუსრულებლობით. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება ჯგუფი მიერ საქონლის კრედიტით გაყიდვით და პარტნიორებთან სხვა ოპერაციებით, რაც წარმოქმნის ფინანსურ აქტივებს.

საკრედიტო რისკების კონცენტრაცია. ჯგუფი საკრედიტო რისკები არ არის კონცენტრირებული ერთ რომელიმე კონტრაგენტზე, რადგან უმეტეს შემთხვევაში არ სთავაზობს პროდუქციის კრედიტით. ჯგუფს შენარჩუნებული აქვს მოკლევადიანი და გრძელვადიანი ლიკვიდურობა და დაცულია არახელსაყრელი ეფექტისგან.

საბაზრო რისკი. საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას ჯგუფის მიერ პროცენტული ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური რისკის მართვის მიზანია ჯგუფის ყოველდღიური ოპერაციების შესრულების უზრუნველყოფა, ოპერაციებიდან საკმარისი ფულისა და ფულადი ეკვივალენტების მიღება, რომ დააფინანსოს საოპერაციო და მიმდინარე კაპიტალური დანახარჯები და სასესხო ვალდებულებები მესამე მხარეების მიმართ.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობის გამო. ჯგუფს წარმოემუშავა რისკები გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო, რომელთა ეფექტი მოცემულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში. ჯგუფის სავალუტო რისკი კონცენტრირებულია აშშ დოლარში და ევროში რაც წარმოიქმნება უცხოური მომწოდებლისგან წარმოებული შესყიდვებით.

საპროცენტო განაკვეთის რისკი. საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებაზე. სესხის საპროცენტო განაკვეთი ფიქსირებულია და შესაბამისად ჯგუფი არ განიხილავს საპროცენტო განაკვეთის ცვლილებას მნიშვნელოვან რისკად.

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2025 წლის 1 ოქტომბერს:

სოფიო ავალიანი
დირექტორი

ნანა ორკოდაშვილი
ფინანსური დირექტორი

სს თ & რ დისტრიბუშენ

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები (გაგრძელება)

ქვემოთ ცხრილში მოცემულია ქვეყნის ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრები:

ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრები	2024	2023
მოსახლეობის რიცხოვნობა 31 დეკემბრისთვის	3,695	3,694
მშპ მიმდინარე ფასებში, მილიარდი აშშ დოლარი	33.8	30.5
მშპ ერთ სულზე (მიმდინარე ფასებში), აშშ დოლარი	9,141	8 218.8
მშპ-ის რეალური ზრდა, %	9.4%	7.5%
საშუალო წლიური ინფლაცია	101.1	2.5%
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები FDI (მილიონი აშშ დოლარი)	966.3	1,594.7
უმუშევრობის დონე, %	13.9%	16.4%

საკრედიტო რისკი და მისი მართვის მექანიზმები. ჯგუფს გააჩნია საკრედიტო რისკი, რომელიც წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ ზარალს მეორე მხარისათვის თავისი მოვალეობის შესრულებლობით. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება ჯგუფი მიერ საქონლის კრედიტით გაყიდვით და პარტნიორებთან სხვა ოპერაციებით, რაც წარმოქმნის ფინანსურ აქტივებს.

საკრედიტო რისკების კონცენტრაცია. ჯგუფი საკრედიტო რისკები არ არის კონცენტრირებული ერთ რომელიმე კონტრაგენტზე, რადგან უმეტეს შემთხვევაში არ სთავაზობს პროდუქციის კრედიტით. ჯგუფს შენარჩუნებული აქვს მოკლევადიანი და გრძელვადიანი ლიკვიდურობა და დაცულია არახელსაყრელი ეფექტისგან.


საბაზრო რისკი. საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას ჯგუფის მიერ პროცენტის ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური რისკის მართვის მიზანია ჯგუფის ყოველდღიური ოპერაციების შესრულების უზრუნველყოფა, ოპერაციებიდან საკმარისი ფულისა და ფულადი ეკვივალენტების მიღება, რომ დააფინანსოს საოპერაციო და მიმდინარე კაპიტალური დანახარჯები და სასესხო ვალდებულებები მესამე მხარეების მიმართ.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობის გამო. ჯგუფს წარმოეშვება რისკები გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო, რომელთა ეფექტი მოცემულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში. ჯგუფის სავალუტო რისკი კონცენტრირებულია აშშ დოლარში და ევროში რაც წარმოიქმნება უცხოური მომწოდებლისგან წარმოებული შესყიდვებით.

საპროცენტო განაკვეთის რისკი. საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებაზე. სესხის საპროცენტო განაკვეთი ფიქსირებულია და შესაბამისად ჯგუფი არ განიხილავს საპროცენტო განაკვეთის ცვლილებას მნიშვნელოვან რისკად.

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2025 წლის 1 ოქტომბერს:


სოფიო ავალიანი
დირექტორი


ნანა ორკოდაშვილი
ფინანსური დირექტორი